სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

68876283649322

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220102325

რეგისტრაციის თარიღი

02.02.2022 წ

ნოტარიუსი: შორენა გოგორიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2
ტელეფონი: +995 595 075225

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ორ თებერვალს მე, ნოტარიუს შორენა გოგორიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2 მომმართა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შპს ,, პერსპექტივა 2''-ს (ს/ნ:402185407) დირექტორმა (თანახმად, ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან , განცხადების რეგისტრაციის ნომერი № B21077601, 30/07/2021 12:02:29, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღმის დასახლება, III მიკრო/რაიონი, N 19 ა,სართული 7, ბინა 36, საიდენტიფიკაციო კოდი № 435891359) დავით მიქაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად დავით მიქაძემ (დაბ.25.10.1990წ. რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ხაშური, ალი, პ/ნ 57001050086) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დირექტორის უფლებამოსილება შემოწმებულია საზოგადოების ამონაწერით და წესდებით, მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მისი სიტყვებით აღნიშნული მინდობილობა, რომელიც ჩავიწერე ტექნიკური საშუალების გამოყენებით. განვუმარტე ამ მინდობილობის შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ამ განმარტებათა მოსმენის შემდეგ დავით მიქაძემ ჩემი თანდასწრებით პირადად წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა და განაცხადა, რომ ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. მან პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას

მინდობილობა

მე, დავით მიქაძე , როგორც შპს ,, პერსპექტივა 2''-ს (ს/ნ:402185407) დირექტორი, შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი", ამ მინდობილობით კირილე მორჩილაძეს (დაბ.16.08.1975წ. პ/ნ 01010006347) , შემდგომში – "მინდობილ პირს" ვანიჭებ შემდეგი სახის უფლებამოსილებას:

,,მინდობილი'' პირი უფლებამოსილია იყოს ,,მიმნდობი''ს წარმომადგენლები საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, იყოს ,,მიმნდობი''ს წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში, ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში, ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი ,მიკრო/რაიონი III, კორპუსი N29-ის მიმდებარედ საკადასტრო კოდი (N 01.10.08.006.217) მშენებლობის/რეკონსტუქციის უფლების ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით , ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა, დოკუმენტი, მოწმობა, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, აიღოს სამშენებლო ნებართვა, პროექტი, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება ან სამშენებლო პროექტის კორექტირება/ცვლილება, განათავსოს/ ატვირთოს ელექტრონულად, უზრუნველყოს ექსპლუატაციაში ჩაბარება და რეგისტრაცია. გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.
მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.
მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის
1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან- # B21077601,
2. შპს ,, პერსპექტივა 2''ის (ს/კ402185407) წესდება ხელისაწვდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის საიტზე;
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 ლარი (,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.7-ის თანახმად) აგრეთვე, დ.ღ.გ. 1.80 ლარი (თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 13.80 ლარი.

მიმნდობი _____

საქართველოს ნოტარიუსი